# დროება

## ყოველდღიური სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 199 სამშაბათი, 8 სექტემბერი 1909 წ. № 199

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ამ საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გ: მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი უველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი უველგან ერთი შაური —

— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.


ხუთს ენკენისთვეს ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა

## დიმიტრი ალექსანდრეს ძე თაყაიშვილი,

რასაც მეუღლე მისი მარიამ ივანეს ასული შვილებით დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ. დაკრძალვა ქ. ოზურგეთში ოთხშაბათს, ცხრა ენკენისთვეს. 1—444—1)


## ქართული თეატრი

შაბათს, 12 სექტემბერს, ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

## ◄ ლალაფი ►

დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. ალ. სუმბათაშვილისა. თარგ. გ. ყიფშიძისა.

ამ წარმოდგენაში დანიშნულია ხ უ თ ი დ ე ბ ი უ ტ ი

ზეინაბი—ქ. ჩირგაძე, ოთარ-ბეგი—ბ. ქავთარაძე, სულეიმან-ხანი—ბ. შარაშიძე, დათო—ბ. ბახლაძე, ყარა-იუსუფი—ბ. ფურცხვანიძე.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

(3—1) რეჟისორი ვ. აბაშ. ძე.

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ალიონი“

(Тифлисъ, Кирочная, 9).

ა. ბოგდანოვის „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსის“ შემდეგ მესამე წიგნათ (დაახლოვებით მომავალ წლის გაზაფხულზე) ხელის მოწერითვე გამოიცემა ჩვენი ახალგაზდა მწერლების საუკეთესო ლექსთა კრებული „გაზაფხული“. კრებულის პირველ ნაწილში შემდეგ ახალგაზდა ავტორთა ლექსები დაიბეჭდება: ბ. ახოსპირელი, ბაბ—ი, ბაჩანა, განდეგილი, კ. გოგოლაძე, ი. გრიშაშვილი, ი. ევდოშვილი, ნ. ზომლეთელი, დ. თომაშვილი, იასამანი, რ. ლეჩხუმელი, კ. მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, შ. მღვიმელი, დ. ნინოწმინდელი, კნ. ნ. ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, ვ. რუხაძე, სილოვან, ვ. ტუქსიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. შანშიაშვილი, ცახელი, დარ. ხუნდაძე და სხვ. დაიბეჭდება 15-ზე არა ნაკლები ლექსი თვითეულ ავტორისა ამათი სურათებით. ავტორთა სურვილით კრებულში შეიძლება ჯერ დაუბეჭდავი ლექსი დაიბეჭდოს. კლიშეები და სურათები დამზადდება საზღვარ-გარეთ. გამომცემლობამ ძიზნის მესაფერისად სცნო თვითეულ ავტორს მიანდოს თავის ლექსების რედაქცია. ამავე გამომცემლობა დაწვრილებით ცნობებს ცალკე წერილებით შეატყობინებს. კრებულში შეიძლება დაიბეჭდოს ავტორთა ავტობიოგრაფია ან ბიოგრაფია, როგორც ამას საჭიროდ დაინახავს სარედაქციო კომისია. კომისიასვე ძიენდობა კრებულის მეორე ნაწილის შედგენა. ამ ნაწილში დაიბეჭდება სხვა ახალგაზდა ავტორთა ლექსები. კომისიის წევრების ვინაობას შემდეგ გამოვაცხადებთ.

„ა ლ ი ო ნ ი ს“ გამგე ვ. გადილია. (3—6.—2)

### წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „იმერეთი“

(წინანდელი „კ ო ლ ხ ი დ ა“ ქუთაისში)

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გიმნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ, ალ. თუმანოვის სახლებში და იწყებს ვაჭრობას ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით. ფოსტის და გერბის მარკებით და სხვა.

კანტორას მოსდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო ქალაქებიდან უფრო გავრცელებული ჟურნალ-გაზეთი და იღებს მათზე ხელის მოწერას. ვისაც, სურს ეს ლი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაეწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგაზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ ახალ წიგნებს, გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების სურათებს, ნახატებიან ღია ბარათებს და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ განცხადებებს გაზეთებში დასასტამბათ. საკომისიოთ წიგნებს და წარმომადგენლობას მთელ გუბერნიისათვის, წიგნების გამომცემლების, რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარედ რუსულ-ქართული „რემინგტონი“ და მიღებისათანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწერისა კანტორაში იქნება გამოცხადებული. (6—კვ.—4)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფებსი მიღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ჩარმქოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულამის მესახევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—4)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—8)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—56)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთ 5—8 ს. (25—კვ.—13)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—ბავშ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3— საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნავიცკი—ქალ., ყოველ დღე 1—2 საათ.

აზვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

არლუთინსკი—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს,

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—89)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლაზნაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—151)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—2)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—2)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მახე ქიქოძის სახლი. (0—უ.—7)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, სახუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 153,

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 2). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—12)

**ექიმი** გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—25)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—60)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—14)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—243)

ქ უ თ ა ი ს შ ი

გამოვიდა ახალი გამოცემა

## „კოლხიდა“-სი

„სახმო წესით“ კითხვის სწავლება—ანდრია შუბლაძისა—ფასი 10 კაპ. და „ქართული მოძრავი ასოები“—ფ. 5 კაპ. ცალი. იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიასა და გაზეთების აგენტებთან. (5—კვ.—4)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—1)

## 14 სექტემბერს გამოვა

კვირეული გაზეთი

## „ერი“

ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში გ. ავალიშვილთან.

გაზეთი წლის ბოლომდე ეღირება 2 მან., თითო ნომერი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: არაგვის ქუჩა, № 5.

რედაქტორ-გამომცემელი პ. სურგულაძე. (5—4)

✦ გ ა მ ო ვ ი დ ა ✦

## დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

## ◄ ლექსები ►

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების“ რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების“ რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

სამ აბაზად

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: „მოთხრობები“. (10—უ. 4)

შესდგა ქართული ეროვნული

## ხორო

რომელიც კისრულობს ეკკლესიებში და მიცვალებულთა. დაკრძალვაზედ გალობას და კონცერტსა და წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ი. კარგარეთელს. (5—4)

ქართული სექცია

ტფილისის სახალხო

## უნივერსიტეტისა

ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა უნივერსიტეტის სკოლებში გაფართოვებულ პროგრამით. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერნენ ყოველ დღე საღამოობით (გარდა კვირისა) 6—8 ს. სკოლაში: 1. გოგოლის ქუჩა, № 42, ვაგზლის მახლობლად; 2. ვერაზე, ოლგის ქუჩა, № 32. 3. ავლაბარში, ავლაბრის ქუჩა, ქალანთაროვის სახლი. სწავლის ფული სამ თვეში ერთი მანეთი. (3—1)

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

## საყმაწვილო ბაღი

ქ-ნ მ. იოსელიანისა,

## გადავიდა

ტფილისის ქუჩაზე, კნ. ს. მიქელაძის სახლში. მეცადინეობა დაიწყო 1 ენკენისთვეს. იღებენ ყმაწვილებს ორივე სქესისა 4—7 წლამდი. (3—კვ.—1)

## საბურთალოზე

ახალ ეკლესიის მახლობლად, დაიყო ნაჭრებად ოცი დესეტინა „საგაბაშვილო მამული“ და იყიდება. დილით 10—2 საათ,, საღამოთი 4—6 საათ. გასაგებად შეგიძლიანთ მიმართოთ, ოლგას ქუჩაზე № 6, საკუთარი სახლი გაბაშვილისა. (3—445—1)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## — მაღაზიაში —

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი“, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, სახელოსნო-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—ნ—24)

ამირალოვის ქალთა პროფესიონალურ სკოლასთან იხსნება

## საღამოს კურსები

ჭრისა, კერვისა და ხელოვნ. ხელ-საქმისა მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 11 სექტემბერს, სამშაბათობით და პარასკეობით საღ. 5-დან 7 ს—თამდე.

თვეში სამი მანეთი

იქვე შეიძლება ტანისამოსის შეკვეთა მეტად ხელმისაწვდენ ფასად.

ნიკოლოზის ქ. N 50 (2—442—2)

## სოფ. ჭაგანში

ტფილისის სამეურნეო ბანკი ჰყიდის ხის სახლს, რომელიც ეკუთვნოდა ბ-ნთ ქაჯაიების სამეურნეო საზოგადოებას და ბანკს ვალში დარჩა.

ადრესი: Тифлисъ, Сельскохозяйственный Банкъ. (2—6.—2)

იყიდება უველგან ახალი

## ◄ ჩანგი ►

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან“, „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ და „უბედური დღე“. წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“ Гачечиладзе. (30—ნ.—10)

## ღვინამძღვარ.-კარის სასოფლო მეურნეობის სასწავლებელში

თხუთმეტ ამა სექტემბრიდან დაიწყება გამოცდა იმ ყმაწვილთა, რომელთაც სურთ შესვლა პირველ სპეციალურ ანუ მოსამზადებელ კლასში. გამოცდის დროს მოსწავლეთ უნდა ჰქონდეთ ცოდნა სამოქალაქო ანუ სასოფლო მეორე კლასის სასწავლებლის პირველ სპეციალურ კლასში მისაღებად. მოსამზადებელ კლასისთვის მოსწავლე უნდა იყოს 13-15 წლისა და სწავლა უნდა ჰქონდეს სამოქალაქო მესამე განყოფილების სასწავლებლისა, ანუ დასაწყისის სასოფლო ერთ კლასიან სკოლისა. (3—2)

## გ ა მ ო ვ ი დ ა

და

ტფილისის საცენზურო კომიტეტში იყიდება:

სია ნება-დართულ პიესებისა

## ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზე.

შედგენილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ, ფასი ათი შაური. ფულის მაგიერ შეიძლება საფოსტო მარკები გამოიგზავნოს. (5—2)

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს). (25—ნ.—3)

## სამშაბათს, 8 სექტემბერს, მოზრდილ

ქალთა კურსების სასარგებლოდ „მუზას“ ბაღსა და კინემატოგრაფში გაიმართება ორიგინალური სეირნობა კინემატოგრაფით ბავშვებისა და მოზრდილებისათვის საინტერესო პროგრამით.

აფრენენ ჰაერში და ჩამოუშვებენ ცრაფ ცეპელინის გემს (7 არშინი სიგრძე აქვს), ა. ა. იარემენკოს განმარტებით. მფრინავი ფოსტა მრავალი საჩუქრებით. ანკესი. მე-20 საუკუნის აფთიაქი და სხ. სადგურო ორკესტრი სახაზინო თეატრისა პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. ბუფეტში შესვლის ფასი შუადღიდან შუაღამემდის უკინემატოგრაფოდ: ბავშვები, მოსწავლეები (დამის 10 საათამდის), სალდათები (9 საათამდის)—8 კაპ. მოზრდილები—15 კაპ. კინემატოგრაფის ფასი ჩვეულებრივია. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში. (2—ნ.—2)

## დ. ჩოხატაურში

გ ა ვ ხ ს ე ნ ი

## წიგნის მაღაზია

საკანცელიარიო ნივთებით და ყდების საკაზმავი განყოფილებით.

მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელოები, რვეულები და საკანცელიარიო ნივთები. ვყიდით იაფათ. ვკისრულობთ ჟურნალ-გაზეთების აგენტობას და ვღებულობთ სასტამბო საქმეებს. იმედი გვაქვს ყველა მასწავლებლები და საზოგადოების შეგნებული ნაწილი მხარს დაგვიჭერს, რომ ჩოხატაურში იარსებოს ისეთმა სიმპატიურმა დაწესებულებამ, როგორიც არის წიგნის მაღაზია.

(3—433—3) სილ. თავართქილაძე.


## დეპეშები

პეტ. რუ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6—7 სექტემბერი

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭოს აზრადა აქვს ის კანონ-პროექტი, რომლითაც სპირტის გაყიდვა აეკრძალა, ძალაში არ შეიყვანოს პირველ ნოემბრამდის, როდესაც პარლამენტი შეიკრიბება. ეს კანონ-პროექტი განსახილველად სახელმწიფო საბჭოს გადასცეს.

### საზღვარ-გარედ.

**ტანჟერი.** ფეციდან 31 აგვისტოს თარიღით იუწყებიან. 30 აგვისტოს თავის ჰარამხანის წინ დახვრიტეს როგი-ბუხარა. როგი ეხლანდელ სულთანის მოწინაამღდეგე იყო და ცდილობდა ტახტზე ასვლას.

**ბერლინი.** „ზიუდდოიტშე რეიხსკორესპონდენტი“ იტყობინება: ტყუილია ის ხმა, ვითომ გერმანიას და ოსმალეთს საიდუმლო ხელშეკ-

რულება დაედოთ და ვითომ ეს ხელშეკრულება შეემუშავებინოთ ოსმალეთის გენერალისიმუს შევკეთ-ფაშას და გერმანიის სტამბოლელ ელჩს.

**ბერლინი.** დღეს, 6 სექტემბერს, თავის ჰაეროპლანით გაფრინდა ორველ რაიტი. რაიტთან იყო კაპიტანი ენგელგარდი. რაიტმა ჰაერში დაჰყო საათსა და 37 წუთსა.

**ბირმინგამი.** ლიბერალებმა ბიუჯეტის სასარგებლოდ დიდი მანიფესტაცია გამართეს. მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო პარლამენტის 70 წევრმა, მათ შორის, არტურ ჩემბერლენმა, იოსებ ჩემბერლენის ძმამ. თავმჯდომარეობდა და პრემიერ-მინისტრი ასკვიტი. ასკვიტმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მან, სხვათა შორის, სთქვა: მიტინგი სიმდიდრის სამართლიანად განაწილებას თხოულობს, თხოულობს, რომ ხალხის წარმომადგენლებს გადამწყვეტი ხმა ჰქონდეთ. ლორდთა პალატა ამაში ხელს უშლის ხალხს. ეს პალატა თანამედროვე სოციალიზმის ნაყოფი კი არ არის, არამედ ძველი ნაშთის ლორდთა პალატამ ლიბერალები ბრძოლაში გამოიწვია; ლიბერალებიც, რა თქმა უნდა, უკან არ დაიხევენ. ლორდთა პალატის ბიუჯეტში ჩარევა ეხლანდელ დროის დიდი რევოლიუციაა.

**ლონდონი.** „მორნინგ-პოსტ“-ს 4 ენკენისთვის იარაღით შანხაიდან ატყობინებენ: პრინცმა ჩუნმა მიიღო ჩინეთის რკინის გზების დირექტორის ჩეინგიტუნის თხოვნა. ჩეინგიტუნა სამსახურიდან გადადგომას თხოულობდა. მიზეზი ის არის, რომ რკინის გზების გასაყვანად საჭირო ფულის სესხად აღების დროს ჩეინგიტუნას სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ჩაუდენია.

**ბერლინი.** გუშინ, 6 აგვისტოს, საღამოთი მოვიდა ოსმალეთის გენერალისიმუსი მაჰმუდ შევკეთ-ფაშა.

რ უ ს ე თ ი

**მიშკინი.** ადგილობრივ სატუსაღოში სახადი გაჩნდა. გარდაიცვალა სატუსაღოს უფროსი, ზედამხედველი და ტუსაღი.

**ვიტებსკი.** სამოსამართლო პალატამ გარჩია საქმე სამი დარაჯისა და ადგილობრივ სატუსაღოს ზედამხედველის რაკოვსკისა. ამათ ტუსაღის ცემა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ გადაუწყვიტა: რაკოვსკის—4 თვით, დარაჯებს—სამ-სამი თვით სატუსაღო.

**სარატოვი.** სოფელ სოდომში, (სარატოვის მაზრა) გადაიწვა 56 სახლი.

**ტვერი.** სულ ერთიანად დაიწვა სოფელი რიადი. გადაიწვა 97 სახლი.

**კურსკი.** სოფელ ანტიკში მოჰკლეს მღვდელი და მნათე. ამის შემდეგ ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს ეკლესია.

**ვარშავა.** ვარშავაში გაიხსნება ქალთა კერძო უმაღლესი კურსები. კურსებზე სამი განყოფილება იქნება: საისტორიო-საფილოლოგიო, ფიზიკო-მატემატიკური და იურიდიული. კურსების წესდება უკვე დამტკიცებულია.

**კისლოვოდსკი.** 5 სექტემბერს თავი ჩამოიხრჩო კრეისერ „ჩასოვოის“ უფროსმა კაპიტანმა ოკუნევმა. განსვენებული სულით ავადმყოფი იყო.

**იაკუტსკი.** მილიუსკიი ოლქში ოთხი ბოროტ-გამზრახველი თავს დაესხა ორ იაკუტს. დაიჭირა ერთი იაკუტი. შეიპყრეს ორი ბოროტ-გამზრახველი. მოჰკლეს ორი. შეპყრობილებმა განაცხადეს, თერგის ოლქის ოსები ვართო.

**ჩერნიგოვი.** სოფ. ვოვნაში გადაიწვა 56 სახლი და წრევანდელი მოსავალი, დაბა პოგრელცში—14 სახლი და წრევანდელი მოსავალი. ცეცხლში დაიწვა ათი წლის ბავშვი. სოფელ ივანოვკა-გნილუშაში გადაიწვა 17 სახლი.

**პოლტავა.** ღამე დაიწვა რადუნსკის თამბაქოს ქარხანა.

**სარატოვი.** სოფელ ზოლოტოიში დაიწვა პონომარევის ტყის სახერხავი ქარხანა. დაიწვა ერთი მუშა.

**ორანიენბაუმი.** 6 აგვისტოს ნაშუადღევის 3 საათზე ორანიენბაუმში და მის ახლო-მახლო დიდი სეტყვა მოვიდა. ბაღები და ბოსტნები სულ გაოხრებულია. სეტყვამ აუარებელი შინაური ფრინველი დახოცა.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის შემოერთებიდან ასი წლის შესრულების გამო ხელმწიფე-იმპერატორმა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე მანიფესტი გამოსცა.

ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ორი დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 68, გარდაიცვალა 31, ავად არის 332 კაცი.

**რიგა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 8.

**ბალახნა.** ავად გახდა 2 კაცი.

**ვოლოგდა.** უკანასკნელ ათი დღის განმავლობაში მთელ გუბერნიაში ავად გახდა 32, გარდაიცვალა 20 კაცი.

**პოლტავა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: კრემენჩუგში 18, ხოროლსკის მაზრაში 3, კრემენჩუგის—10, ლებენსკის—5 კაცი. გარდაიცვალნენ: კრემენჩუგში—1, ხოროლსკის მაზრაში 1, კრემენჩუგის 2, დუბენსკის—1.

**იაროსლავი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში იაროსლავში და მის მაზრაში ავად გახდა 81, გარდაიცვალა 39 კაცი. რიბინსკში და მის მაზრაში 42, გარდაიცვალა 17 კაცი. რომანოვო-ბორისოგლებსკში და მის მაზრაში ავად გახდა 2; გარდაიცვალა 1 კაცი. სულ მთელ გუბერნიაში ავად გახდა 136, გარდაიცვალა 18 კაცი.

**დვინსკი.** ავად გახდა 8, გარდაიცვალა 1 კაცი.

**მოგილევი.** მთელ გუბერნიაში ავად გახდა 5 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2 კაცი. მაზრაში ავად 2 კაცი.

**ბელოოზერსკი.** ავად გახდა 1 კაცი.

**კიევი.** ავად გახდა 2 კაცი.

**პოლოცკი.** ავად გახდა 10, გარდაიცვალა 5 კაცი.

**ტვერი.** ავად გახდა 101, გარდაიცვალა 11 კაცი. გუბერნიაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 4 კაცი.

**კენიგსბერგი.** გილდებრუგის ოლქში პოვალნში, რუსეთის საზღვრის ახლო ავად გახდა 2 კაცი. მიღებულია საჭირო ზომები.

**კირილოვი.** ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, მორჩა 3 კაცი.

**პერმი.** ავად გახდა 1 კაცი.

# სახალხო სკოლები

წავიკითხე რა „დროების“ მე-173 ნომერში წერილი ამ სათაურით: „სამრევლო და საეკლესიო სკოლები“, მაშინვე ეს ანდაზა მომაგონდა: „მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო“. „სამრევლო და სამინისტრო სკოლებიდან სხვა ბევრ ნაკლს შორის, —ნათქვამია წერილში,—საბუნებისმეტყველო საგნები, სამშობლო ისტორია, სამშობლოს აღწერა განდევნილიაო“. ამ აზრს მეც სავსებით ვეთანხმები, რადგან არა ერთი და ორი სკოლა მინახავს და გამიცვნია კიდეც დაახლოვებით. სწორედ შესაბრალის მდგომარეობაში არიან ეს სკოლები: მოუმზადებელი მასწავლებლები, ოროსამი განყოფილების ერთად სწავლება. შეუფერებელი პროგრამა, მთავრობის შიში თუ ხათრი, რომ ჩქარა შეასწავლონ კაჭკაჭისებური რუსული,—ყველა ეს აფერხებს სამინისტრო და სამრევლო სკოლების წარმატებას.

სამრევლო და ზოგი სამინისტრო სკოლის მასწავლებელნი მოუმზადებელნი არიან, ეს მართალ ა, მაგრამ აბა შევიხედოთ იმ სახალხო სკოლებში, სადაც ვითომდა მომზადებული და ცენზიანი მასწავლებელნი ასწავლიან! განა იქ-კი ჰყავის სამშობლო ენაზე შესასწავლი საგნები? საუბედუროდ, არა თუ საგნებს სამშობლო ენაზე შესწავლა, თითონ სამშობლო ენაც დაქვეითებული და მივიწყებულია. რა არის ამისი მიზეზი? აი, მოგეხსენებათ, გიმნაზიებში ქართულს ენას არ ასწავლიან და არც სწავლობენ, მაშასადამე, აქ სწავლა დამთავრებულთ არც ქართული ენა ეცოდინებათ, მით უმეტეს, რომ, როგორც ვიცით, ჩვენ ახალ თაობას, მეტადრე ქალებს, დიდ ღირსებად მიაჩნიათ ყოველ წამს რუსულად ლაპარაკი. სასწავლებელში არა სწავლობენ, შინ და სახლში არა ლაპარაკობენ, მაშ როდის და სად შეისწავლეს ენა, რომ თავგამოდებით გაიძახიან, ენის დიდი მცოდნენი ვართო? როცა დასჭირდათ, ენის მცოდნენი გახდნენ, მაგრამ ვაი ამ ცოდნას!... ეს-კი 1905 წელს მოხდა, მოძრაობის შემდეგ. მანამდის ჩვენში ქართულად ლაპარაკი სირცხვილი იყო, შემდეგ კი დიდი მცოდნენი გახდნენ.

აი საქმე რაშია: მოძრაობის შემდეგ ქალაქის თვით-მართველობას ნება დართო მთავრობამ, გამოეყო ცალკე ქართული, რუსული და სომხური სკოლები, სწავლა პირველ განყოფილებაში ყველა საგნებისა სამშობლო ენაზე მოეწყო, რუსული ანბანი-კი შეესწავლებინა მხოლოდ მეორე განყოფილებაში, მთავარმართებელის 1881 წლის პროგრამით რეორგანიზაცია მოხდა. აბა ახლა შევიხედოთ სკოლებში, სავსებით ასრულებენ თუ არა ამ პროგრამას? არას ვიტყვით ორიოდე სკოლაზე, მაგრამ უმრავლესობაში რომ შეიხედოთ, შეგრცხვებათ, რასაკვირველია, მასწავლებლის მაგიერ, უკან გამობრუნდებით და იტყვით: „მაშ რაღა ითხოვა ხალხმა სამშობლო ენაზე სწავლება, თუ კი პირველ წელიწადსვე რუსულ ანბანის კითხვას დააწყებინებდნენ და არ ეცდებოდნენ ბავშვის განვითარებას სამშობლო ენაზეო?! ეს ხდება ვითომდა ჩუმად, მორიდებით. ძველ რეჟიმს მიჩვეული და რუსულად აღზრდილი მასწავლებელი სცდილობს პირველ წელიწადსვე რუსული გაამეფოს და აატყაოს. მოსდით ეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართული არ უსწავლიათ, მაშასადამე, არც ევარჯიშებათ; მეორეც—ჩვენ ყველანი დამახინჯებულნი ვართ, ჩვენდა უნებურად ჩვენვე ხელს ვუწყობთ და ბავშვებს ვამახინჯებთ. აბა ახლა შეიხედეთ თვით-მართველობაში და წაიკითხეთ მასწავლებელთა თხოვნები. ყველა მთხოვნელი სწერს: „მშვენიერი ქართული ენის მცოდნე ვარო“. საქმე, როგორცა ვთქვით, სხვას გვიჩვენებს. ასევე ხდება სომხის დაწყებით სკოლებში.

ასეთი ფაქტიც იყო. ერთი მასწავლებელი ენკენისთვეშივე ავად გახდა. იმის მაგიერ სხვა დანიშნეს დროებით. კარგად გახდა გიორგობისთვეში, შეუდგა თავის საქმეს, მაგრამ დიდი საყვედური გამოეცხადა დროებით მასწავლებელს, რად არ გისწავლებია რუსული კითხვა (პირველი წელიწადი იყო), რაზე დაგიღუპია ბავშვებიო. მან 1881 წ. გეგმაზე მიუთითა. „ეჰ, მაგას რომ ყური უგდოთ, ბავშვები რუსულს ვერ შეისწავლიანო“. აი მომზადებულნი მასწავლებელნი რას ამბობენ! მათ უნდათ, ვითომ სამი წლის განმავლობაში სამაგალითო რუსული შეასწავლონ!..

მაშ ეს ჩვენი საერთო სიმახინჯე არ არის?! მოგვცეს და არა ვსარგებლობთ. იქნება იფიქროს ვინმემ, მაშ რუსულს რა უყოთ, ის ვიღაცაა—რუსულის წინააღმდეგიაო. არა. რუსულს თავისი ადგილი უნდა დაეთმოს, სამშობლო ენას—თავისი. მართალია, მზრუნველი და დირექტორი თხოულობენ, რუსული კარგად იცოდნენ, მაგრამ „ღმერთი ჰკუით იცნესო“: როგორ შეიძლება სამ წელიწადში ისე კარგად ასწავლო რუსული, რომ ისინი დააკმაყოფილო?! (ეს თითონაც კარგად იციან). სამაგიეროდ, თუ კი მასწავლებელი მოინდომებს, სამ-ოთხ წელიწადში საკმაო ცოდნა შეუძლიან შესძინოს ბავშვებს სამშობლო ენაზე, რადგან იგი მათთვის ადვილი გასაგებია, რუსული კი უნდა შეასწავლონ სამშობლო ენის დახმარებით, როგორც საგანი, რომ წანაკითხი ესმოდეთ.

სანამ სკოლების რეორგანიზაცია მოხდებოდა, ყველა ეროვნების ბავშვებს ერთ სკოლაში იღებდნენ და ხშირად მასწავლებლად რუსს უნიშნავდნენ. პირველ-დღესვე ეს მასწავლებელი რუსულ კითხვას აწყებინებდა, სამშობლო ენის დაუხმარებლად, აუხსნელად და აი რა ხდებოდა: ძალიან ნიჭიერი ბავშვი უნდა ყოფილიყო, რომ 3—4 წლის განმავლობაში დაესრულებინა სწავლა; საშუალო ნიჭის პატრონი რჩებოდა სკოლაში 6-ს წელიწადს, მაგრამ მაინც იშვიათად მიიღებდა გათავების მოწმობას. გაზეპირებული ჰქონდა სამაგალითოდ რუსული ისტორიის ფაქტები, გეოგრაფიის ტერმინები, მათი აზრი და მნიშვნელობა კი არ ესმოდა, რადგან არავის აუხსნია.

ამ გაჭირებიდან უნდა გამოგვიყვანოს ეხლანდელმა სკოლამ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერასა ვხედავთ. თითონ ქართული ენის შესწავლაც არ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ავიღოთ „დედა ენის“ შესწავლა. „დედა-ენა“-ში არის მოთავსებული საუბრები, რომლის გონივრულ შესწავლითაც ბავშვი ბევრ ცოდნას იძენს და საწერადაც მრავალი მასალა ეძლევა. წარმოიდგინეთ, ბევრი მასწავლებელი, მომზადებულიც კი, არ ასწავლის საუბრობს. ესენი საწერ მასალას რუსულიდან არჩევენ, თითონვე ვითომ [illegible] ვებს აწერინებენ: ხელა როგორლა უსწორებენ, [illegible] სარგებლობენ? იმდენად [illegible] არიან სამშობლო ენას, რომ არ იციან, თუ ქართული ლიტერატურა არსებობს. რუსულად აღზრდილნი, თვალდახუჭულნი ისევ რუსულს ეპოტინებიან და მოპოებულ მცირე უფლებითაც არა სარგებლობენ...

**კეთილის მყოფელი.**

# ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **სიკვდილი.** 7 სექტემბერს საგუბერნიო საპატიმროში სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი პოლოს დოლაქოვს.

✦ **გორის სემინარიის გადმოტანა.** როგორც გაგვიგია, საბოლოოდ გადაუწყვეტიათ გორიდან სამასწავლებლო სემინარიის ტფილისში გადმოტანა. ტფ. ქალაქის თვითმმართველობა ადგილს უთმობს. 5-6 სექტემბერს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც იყვნენ დირექტორი სემინარიისა, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის საქმის-მწარმოებელი, ქალაქის არქიტექტორი და ქალაქის საიჯარო სტოლის გამგე, დაათვალიერა ქალაქის ყველა ნაწილში შენობისათვის დასათმობი ადგილები. კომისიამ სემინარიისთვის საუკეთესოდ სცნო ქალაქის ადგილი ლოტკის გორაზე.

✦ **ამხანაგობა „სახლ-კარი“.** ტფილისში არსდება საამშენებლო ამხანაგობა „სახლ-კარი“. ამხანაგობაში სპეციალისტ ტეხნიკოსებს გარდა, შედიან სხვანიც, უბრალო მუშებამდე. ამხანაგობას აზრადა აქვს იჯარით სახლების აგება, სახლებისათვის გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვების შედგენა, სახლების დაგირავება და გადაგირავება, დაზღვევა და სხვა.

✦ **ტფ. გუბერნატორი.** „კასპ“-ს დეპეშით ატყობინებენ: „ტფ. გუბერნატორს ლოზინო-ლოზინსკის ხარკოვის გუბერნატორად ნიშნავენო“.

✦ **წვრილ ვაჭართა საზოგადოება.** კვირას, 6 სექტემბერს, ბ-ნ ვ. ენუქიძის თავმჯდომარეობით,

# „ღმერთო, ამაზე უარესი საშინელება იქნება!?“

(შემდეგი *)

II

დადგა კალოობა. სოფელი გამოცოცხლდა, ახმაურდა, იმღერდა. დღე და ღამე შეუწყვეტელი შრომა და ჯაფა თითქოს უორკეცებდა შრომის სურვილს და ჰმატებდა მხნეობას დიდსა და პატარას. პურის კარგმა მოსავალმა განდევნა გლეხის გულიდან დარდი და სიხარულით გააშუქა იმისი გარუჯული სახე.

— მადლობა ღმერთს, წრეულს სამყოფი პური მოგვივიდა, თუ რამ უბედურება არ გამოგვეკრა...—ამბობდნენ ისინი ღიმილით იმ იმედით, რომ უბედურება ნაცდვილად აშორდებოდათ.

მაგრამ უბედურება გამოეკრა ჩვენ სოფელს. ჩვენ მეზობლად მდებარე სოფელში ერთი „სტრაჟნიკი“ მოჰკლეს და სამ მეზობელ სოფელს ჩამოგვიყენეს ეგზეკუცია. დედაკაცები შიშით გარედ ველარ გამოდიოდნენ, მამაკაცები კი დღიან-ღამიანა დარბოდნენ სოფლის კანცელარიიდან მაზრაში, დარბოდნენ სანოვაგისათვის, დარბოდნენ ფულის საშოვნად, ავაზაკების დასაჭერად და სხ. ხალხი მოსწყდა მუშაობას. პური ნახნული უწყალოდ იკარგებოდა. მთელი სოფელი დიდიან-პატარიანა შევიწროვდა, შესწუხდა, დაღონდა. მიზეზად ყველა მაზრის უფროსს სთვლიდა და ყველანი ამბობდნენ, რომ თუ მაზრის უფროსი მოინდომებს, ეგზეკუციას მოგვხსნიანო.

გადავსწყვიტე წავსულიყავ მარდიანიძესთან, თუმცა იმედი კი არა მქონდა იმის შემწეობისა, მაგრამ წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, მეც წაველ. ამ ზაფხულს მარდიანიძის ოჯახი საზაფხულოდ თავის მამულში, განის ქედში სცხოვრობდა და, როგორც შევიტყე, ეხლა ამ ეგზეკუციების გულისთვის, რომ ახლოს ყოფილიყო, თითონაც იქ იყო.

მე უფრო იმედი მქონდა მარდიანიძის ცოლისა, რომ დამეხმარებოდა თხოვნაში თავის ქმართან. ერთი რომ ის ჩემი მეგობარი იყო გიმნაზიაში—და მეორეც ძალიან გულკეთილი იყო: ტან-წვრილი, თმა-გრეხა, ცქრიალა გოგონა, გიმნაზიის პირველი მოწაფე, მუდამ მხიარული და მომღერალი. წარმომიდგა თვალწინ ცოცხლად და საყვარლად. წარმომიდგა თვალწინ აგრეთვე ისიც, როგორ სწერდა ლექსებს და მშვენიერ მოთხრობებს. ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ შემდეგში მწერალი გამოვიდოდა და წინდაწინვე ვეთაყვანებოდით იმის ნიჭს. მაგრამ, გაათავა თუ არა გიმნაზია, იმ ზაფხულსავე მშობლებმა მიათხოვეს მარდიანიძეს, რომელიც გიმნაზიიდან, მეხუთე თუ მეექვსე კლასიდან, გამოვიდა და იმ დროს სოფელში სცხოვრობდა. მეტად ლამაზი და წარმოსადეგი ახალგაზდა იყო მარდიანიძე: მაღალი, მხარ-ბეჭიანი, „ჩერქესკაში“ გამოწყობილი, მოქეიფე თავადიშვილი. ჩვენ, ამხანაგები, ყველანი განვცვიფრდით ამ ამბავმა. ქეთოს ათასი სხვა და სხვა ჩაირი აზრი უტრიალებდა თავში: კურსებზე წასვლა, ხალხის სამსახური, პირველი მისი ოცნება იყო.

მივდიოდი გზაზე და ვფიქრობდი, თითქოს ახლახან შენახოს იმისი მოძრავი ცოცხალი სახე, სხივოსანი შავი ცქრიალა თვალები. ნამდვილად კი გიმნაზიის გათავების შემდეგ აგერ თორმეტი, თუ ცამეტი წელიწადი აღარ მენახა.

მზე კარგა მაღლა იყო, როცა შევედი მარდიანიძის დიდ ალაყაფის კარებში და გავსწიე ორ-სართულიან სახლისაკენ.

— ქალბატონი ბაღში ბრძანდება,—მითხრა მოსამსახურე გოგომ და წამიყვანა ბაღისკენ.

დიდ კაკლის ქვეშ პირისფერ განიერ პენუარში გამოწყობილი, ვიღაც გასუქებული ქალი წამოწოლილიყო ხალიჩა-მუთაქებზე და რაღაცას ხარბად სჭამდა.

დავინახე თუ არა, ქალი ნელა წამოიწია ორივე ხელებზე, ჰამას თითვი დაანება და ადგა. „ნუ თუ ეს მსუქანი დედაკაცი ქეთოა?—გავიფიქრე და ეჭვში შევედი:—ვაი თუ სხვაგან მოვედი-მეთქი“, მაგრამ, რამდენსაც ვუახლოვდებოდი, ვრწმუნდებოდი, რომ ის იყო. ის კი გაკვირვებული შემომცქეროდა.

— აჰ, მარო, ნუ თუ შენა ხარ?—წარმოსთქვა სქელმა დედაკაცმა, გაიღიმა და როგორღაც ზანტად და დინჯად გამოსწია ჩემსკენ. ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეს ქეთოა ის სწრაფი ქეთო, მოძრავი ქეთო, წკრიალა ხმის პატრონი?“ გავიფიქრე და ერთ წუთს შევდექი. ქეთო მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა. დავსხედით.

— რა მესიამოვნა, მარო, შენი ნახვა! ისე გულით მინდოდა, თუმცა კი არ მოგელოდი. ამბობდნენ...—უცებ შესდგა, ოდნავ წამოწითლდა და განაგრძო:—ეჰ, რას არ ამბობენ... რამდენი ხანია აღარ მინახავხარ, სრულებით არ გამოცვლილხარ, თუ გამოცვლილხარ... არ ვეცი... მაშინვე კი გიცნობდი... ისე შემაწუხა, შენმა მზემ, როცა შევიტყე, რომ იმდენი ხნით გადაგასახლეს... დარწმუნებული ვარ, შეცდომა იყო შენი გადასახლება: არაფერ შუაში არ იქნებოდი... ნიკო ამბობს, რომ ჩვენი ადმინისტრაცია შეცდომებს ბევრს სჩადისო და ამით საზოგადოდ ხალხის და კერძოდ გლეხების დაწყნარებას ძალიან აფერხებენო. მე არც დამიჯერია, რომ შენ, მაგალითად, შენი ჭკუის პატრონი, გლეხებში მიწის საკუთრების მოსპობის შესახებ გექადაგნოს. ჩვენ დროში ეს მეტად ნაადრევი, მოუმწიფებელი დასკვნაა. და გონიერი ადამიანი ამას არ მიემხრობა. ნიკო ამბობს... ღმერთო ჩემო, და განა ისედაც ცხადი არ არის! ჩვენ თითონ სოციალისტები ვართ, მაგრამ ხატი არ გვინდა, მღვდელი არ გვინდა, ბატონები ვიქნებითო, მიწა ჩვენიაო... ჯერ დაიმსახურე ეს მიწა, ისე როგორც დაიმსახურა თავად-აზნაურობამ და მერე ილაპარაკე. ერთი ხელის ტოლა მიწას ვერ იპოვი მთელ ტანჯულ საქართველოში, რომ თავად-აზნაურობის, ესე იგი ჩვენი სისხლით არ იყოს მორწყული. აი, როგორ გვაქვს თავადაზნაურობას დამსახურებული მიწამამული. თორემ...

— ჰო, რა გინდა?—მიუბრუნდა მოსამსახურე დედაკაცს, რომელიც კარგა ხანი იდგა და მორჩილებით შესცქეროდა.

— ყავა სად მოგართვათ?

— ყავა? ჰო, აქ მოგვართვი... კნიაზი რომ მობრძანდეს, აქ მობრძანდითო-თქო, მოახსენე... ჰო, იმას ვამბობდი,—დაიწყო ისევ.

მე იმის ლაპარაკზე უხერხულად ვგრძნობდი თავს, ამასთან მინდოდა, მარდიანიძის მოსვლამდის მომელაპარაკნა ჩემი საქმის შესახებ.

— იცი, ქეთო,—დავიწყე,—შენთან სათხოვარი საქმე მაქვს და უნდა დამეხმარო რამე ნაირად შენ ქმართან: საქმე რთული და საყურადღებოა.

ქეთომ შემომხედა, გაისწორა საყარცხლები თმაში და თითონაც გასწორდა წელში.

— საქმეე,—სთქვა მან,—თუმცა ნიკოს არ უყვარს, როცა იმის საქმეში ვერევი, მაგრამ შენი ხათრისთვის, თუ კი რამე შეგვიძლია... შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ საქმეში ჩახედული და მცოდნე კაცია ნიკო—განაგრძო თავმომწონედ,—ახლა, აი, ეს ერთი სტრაჟნიკი მოკლეს; თორემ, რაც მაზრის უფროსად არის, ერთი არაფერი არ მომხდარა. ყველგან მაზრებში ათასგვარი სკანდალი მოხდა, ჩვენსაში კი სრული სიწყნარე სუფევდა. ნიკომ იცის გლეხებთან საქმის დაჭერა: იმისთვის შორს არ წავა, უცებ დააშოშმინებს. შენ ვერ წარმოიდგენ, რა ხაირად უყვართ გლეხებსაც ნიკო, ისე დღე არ გავა, რამდენიმე არ მოვიდეს და მადლობა არ გადაუხადოს... აჰა, აი ჩემი გოგონაც,—სთქვა მან ღიმილით,—თინა, მოდი, სტუმარს რევერანსი გაუკეთე!—მიმართა მან პაწია ფუნჩულა თეთრ არშიებში გამოწყობილ ბავშვს, რომელსაც უკან ახალგაზდა გამდელი და რამდენიმე სოფლის ბავშვი მოსდევდა. ბავშვები მესერის მეორე მხარეს დარჩნენ, ქალი კი შემოჰყვა პაწიას ბაღის კარებში.

— ეს ერთი ბავშვი გყავთ?

ის იყო პასუხი უნდა მოეცა, რომ ვიღაცას ხმამ დაიგრიალა:

— ააა, ვის ვხედავ, ვინ მობრძანებულა... მარია სპირიდონოვნა, გამარჯობა თქვენი... საიდან სადაო, წმიდაო სამაო... რამდენი ხანია, აღარ მინახიხართ!—ამ სიტყვებით შემოვიდა ბაღის კარებში მარდიანიძე და გამოსწია ჩვენკენ ჩქარის საქმიანის ნაბიჯით. უკან თავიდან ფეხამდის შეარაღებული ინგუში მოსდევდა. მარდიანიძე მაღალი, კარგა ჩასუქებული, წარმოსადეგი და სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი იყო. მოდიოდა ისეთის მედიდურის გამომეტყველებით, როგორადაც მაშინ, გიმნაზიელობის დროსაც დადიოდა.

— ნიკო, იცანი, თუ ღმერთი გრწამს?

— მაშ არ ვიცანი? თუმცა ის „პიკანტნობა“ აღარ არის მარია სპირიდონოვნა; აჰ, რა ეშხიანი ბრძანდებოდით, გახსოვთ, მერვე კლასში რომ იყავით?—მან დაჰკოცნა თავისი ხელის თითები.—მე როგორღაც უხერხულობა ვიგრძენ; მარდიანიძე მიხვდა.—ახ, უკაცრავად, თქვენ ახლა სოციალისტი ბრძანდებით და ამისთანა ლაპარაკი არ გესიამოვნებათ, წარმოსთქვა მან სწრაფად და დინჯი შესახედაობა მიიღო, ჩემ პირდაპირ დაჯდა, ჩემი ხელი აიღო და დაიწყო დინჯად:—გარწმუნებთ, მარია სპირიდონოვნა, რომ პირველი სოციალისტი მე ვარ...

— აი, აი, მეც სწორედ ეგ ვუთხარი,—სთქვა ცოლმა.

— დაიცა ერთი... ჰო, მაგრამ ეს რა სოციალისტობაა, მე ვიყო ბატონი და შენ ყმად გახდიო. თუ ბატონობაა, მე უფრო შემფერის, შეჩვეულიცა ვარ და ბარემ მე ვიქნები ბატონი, ეს ერთი. მეორე მთა და ბარი უცებ არავის გაუსწორებია, დიდ-პატარაობა თითებშიაც არის. ახლა კი გამომდგარა ეს ფეხდაუბანელი ტიტია გლეხი და იძახის, მეც შენი ტოლი და სწორი ვარო...

— გასწორებას ჯერ ბევრი აკლია!..—ჩაურთო ქეთომ.

*) იხ. „დროება“ N 198.

მოხდა ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოების კრება. კრებაზე 500 წევრიდან 40 კაცზე მეტი არ გამოცხადდა მთავარმა კომიტეტმა სამი საკითხი წარუდგინა კრებას. კრებამ პირველად მოისმინა მოხსენება საკრედიტო ამხანაგობის დაარსების შესახებ. ბ-ნ ხრამელაშვილმა ვრცლად განუმარტა კრებას, რა დიდი მნიშვნელობა ექნება წვრილ ვაჭრებისათვის იაფ და ხელმისაწვდომ კრედიტს. კამათის დროს ყველამ საჭიროდ სცნო ერთ ასეთ ამხანაგობის დაარსება. კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო წინადადება და დაადგინა საწევრო ფულის მინიმუმად მიღებულ იქმნას 30 მან. მთავარი კომიტეტი ეხლავე უნდა შეუდგეს საწევრო ფულის მოკრებას. წევრებმა ფული პირდაპირ ბანკში უნდა შეიტანონ საზოგადოების სახელზე. დეკემბრის პირველ რიცხვებამდე ყველა წევრმა უნდა შეიტანოს ფული, დეკემბერში კვლავ მოხდება კრება, აირჩევენ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრებს და მომავალ წლის იანვრიდან შეუდგებიან მოქმედებას. მეორე მოხსენება კომიტეტისა შეეხებოდა სავაჭრო ბიუროს დაარსებას. ბიუროს მიზნად ექნება შუამავლობა გაუწიოს საზოგადოების წევრს მექარხნე-მეფაბრიკეებთან, რომ ხელსაყრელ პირობებით მიიღოს საქონელი. კრებამ სასურველად სცნო სავაჭრო ბიუროს დაარსება... დასასრულ, კრებამ მოისმინა მოხსენება კომიტეტისა სამედიატორო სასამართლოს დაარსების შესახებ. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ყველა წევრმა საზოგადოებისამ სადაო საქმეების გადასაწყვეტად სამედიატორო სასამართლოს მიმართოს ხოლმე და დაადგინა, დაავალოს კომიტეტს, გაუწიოს ხელმძღვანელობა მედიატორების ამორჩევასა და საქმის წარმატებას.

✦ **შუამდგომლობის შეწყნარება.** ბათუმში ექიმ ტრიანტაფილიდისის მოკვლის შემდეგ ადგილობრივმა ექიმთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ მოკლულის ცოლს, ვერა ტრიანტაფილიდისს, რომელსაც ბერძნის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი აქვს გათავებული, გამოსაცდელ ეგზამენის ჩაუბარებლად ექიმობის ნება მისცემოდა: ხელმწიფემ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა (ბ. ი.)

✦ **პენსია ეპის. კირიონის.** როგორც „ზაკავ." ატყობინებენ, სინოდში ლაპარაკი აღუძრავთ ეპისკოპოს კირიონისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ. ფიქრობენ აგრეთვე, რომ რუსეთში გადასახლებულ არქიმანდრიტს ამბროსის (ხელაიას) მღვდელ-მსახურების ნება მისცენ.

✦ **მკვლელობა.** ოზურგეთიდან გაზეთ „ბატ. იზვ."-ს დეპეშით ატყობინებენ: პლასტუნებმა მოჰკლეს მემამულის გიგინეიშვილის მკვლელები დარჩია და ჩხარტიშვილი.

✦ **მატინოვის დაგრძალვა.** 5 სექტემბერს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მოახსენოს საბჭოს მატინოვის გარდაცვალების შესახებ, აცნობოს შინაარსი მატინოვის ანდერძისა, გადაიხადონ საბჭოს დარბაზში პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად, თანაგრძნობა გამოუცხადონ გარდაცვალებულის ნათესავებს, შეამკონ გვირგვინით განსვენებულის კუბო, იკისროს ქალაქმა ხარჯი გარდაცვალებულის ტფ. გადმოსასვენებლად და დასაკრძალავად და აღსძრას შუამდგომლობა, რომ მატინოვი ვანქის ეკლესიის გალავანში იქნას დასაფლავებული.

✦ **ხმოსნის გარდაცვალება.** გუშინ წინ ტფილისში ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქის საბჭოს ხმოსანი არტემ ვართანოვი. ვართანოვი 8 წელიწადი იყო ხმოსნად.

✦ **მატინოვის გვამი.** ქალაქის გამგეობამ დეპეშები მიიღო ალ. მანთაშევისა, ხარაზოვისა და ექიმ ლორისმელიქოვისაგან. როგორც იუწყებიან, გარდაცვალებულ მატინოვის გვამს გემ „იმერეტიათი" მოასვენებენ. გემი ბათუმში იქნება 19 სექტემბერს.

✦ **გამართლება.** 4-5 სექტემბერს ტფილისის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ნიკო, აბრამ და არსენ ციხელაშვილებისა, დავით პეტრიაშვილის და მირიმან მაღრაძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ვ. ოქმელაშვილის მოკვლა. სასამართლოში ბრალდებულებს იცავდნენ ვექილები ივ. კაჩუხოვი და ი. მაჰავარიანი. ოლქის სასამართლომ ხუთივე ბრალდებული გაამართლა.

✦ **სამხედრო სამართალში.** „რ. სლ." ტაშკენტიდან დეპეშით ატყობინებენ: ვინმე მაისურაძეს უცნობებთან ჩხუბი მოუვიდა. მაისურაძემ დასჭრა 6 კაცი, მათ შორის ერთი დარაჯი. დარაჯი უკვე გარდაიცვალა. მაისურაძე დააპატიმრეს. მაისურაძეს უფლებები ჰქონია ჩამორთმეული. იგი სამხედრო სამართალში მისცეს.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა პოლიციელთა სახელმძღვანელოდ გამოსცა შემდეგი ბრძანება: ტრამვაის ვაგონების უკანა ბაქანზე ხშირად უსიამოვნება ხდება ხოლმე, რადგან იქ 8 კაცის მეტს ნება არა აქვს დადგომისა და უბილეთოები ერთ მეორეს უჩვენებენ, არა მე ამოვედი პირველი და არა მეო. რადგან ხშირად უწესოებაც ხდება ხოლმე, ამ გვარ შემთხვევის დროს პოლიციელებმა ვაგონიდან უსათუოდ უნდა ჩამოსხან ყველა უბილეთონი და შემდეგ სათითაოდ აუშვან იმდენი, რამდენიც დაწესებულია.

✦ 6 სექტემბერს უაზბეგის ქუჩაზე სახლის პატრონმა მიხეილ დანდაურმა თოფით თავი მოიკლა. დანდაური 65 წლისა იყო.

## მოწერილი ამბები

**ს. ჯურუყვეთი.** (გურია) წლის ივლისის ოთხ რიცხვში ჩვენს სოფელს მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს: ვიღაც ავაზაკებმა მოჰკლეს აზნ. სერია გიგინეიშვილი. მკვლელები ხალხმა მალე აღმოაჩინა. ესენი გამოდგნენ მოსაზღვრე ჯუმათის საზოგადოების მცხოვრებნი ჩხარტიშვილი და დარჩია. ხალხმა გამოარკვია, რომ ავაზაკებისთვის შემწეობა მიუციათ და ხელმძღვანელობა გაუწევიათ ჯურუყვეთის მცხოვრებთ ნიკიფორ დობორჯგინიძეს და ბენია მურვანიძეს. პოლიციის მოთხოვნილებაზე მკვლელების გაცემის შესახებ ხალხმა უპასუხა, მკვლელები ზემოდ დასახელებული პირები არიანო. შეპყრობა იმათი-კი საზოგადოებას არ შეუძლიან, რადგან ესენი კარგა ხანია ყაჩაღებად არიან გავარდნილნი, ხოლო ხალხს იარაღი არა აქვს. ჯურუყვეთის მცხოვრებნი დობორჯგინიძე და მურვანიძე საზოგადოებამ მთავრობას გადასცა განაჩენთან ერთად. იმათი დანაშაულობის საბუთებიც გადასცა მაზრის უფროსის თანაშემწეს. ადმინისტრაციამ შეიწყნარა ეს მოთხოვა, სერია გიგინეიშვილის მკვლელები და „მოთავე პირები", რადგან, მისის სიტყვით, გიგინეიშვილის სიკვდილი ვითომ ხუთ საზოგადოების შეერთებულ კრებას დაუდგინოს. ამას ასრულება საზოგადოებამ ვერ შესძლო და ამისთვის 11 ივლისიდან ჯურუყვეთის საზოგადოებაში ეგზეკუცია დგას: დღეს უკვე 53 დღეა, რაც საზოგადოების ხარჯით ინახება ას-ოცი კაცი თავიანთი ცხენებით. ადვილად მიჰხვდებით, რა ხარჯი მოუვიდოდა სოფელს.

„ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო უველა წავსევაო", იტყვიან. ჯურუყვეთსაც ასე მოუვიდა. „წესიერების დამცველთა" სტოლს ხშირად შემოუჯდებიან ზოგიერთი ჩვენი საზოგადოების მცხოვრებნი და საზოგადოების ოფლით და სისხლით გამართულ ნადიმს ისინიც შეექცევიან! „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო" ამბობენ, და ესენი აქაც არ იშლიან იმ თავიანთ თანდაყოლილ მუქთა-ხორობას!

დეპუტატ გეგეჭკორს შუამდგომლობა გაეწია, სადაც ჯერ არს. გაზეთებში ეწერა, გუბერნატორმა შეიწყნარა თხოვნაო, მაგრამ ეგზეკუცია დღემდე არ მოუხსნიათ. აუცილებლად საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს სოფლის უკიდურესს მოგომარეობას.

**დ. გ—შვილი.**

—

**გურია.** ჯუმათის განახლებულმა 14 დღის იარმუკამ (ჯუმათობა) ჩაიარა. ვაჭარი ცოტა იყო მოსული, სამაგიეროდ ხალხმა საკმაოდ მოიყარა თავი. 1000 სულამდის ცხვარი ორი დღის განმავლობაში გაიყიდა. რა თქმა უნდა, სამიკიტნო საკმაო იყო და ქეიფიც დიდი. იარმუკაზე იყვნენ კულაშიდან მოსული ებრაელებიც, რომელთაც შედარებით სხვებზე კარგად გაასაღეს საქონელი. წელს ქრისტიან და ებრაელ ვაჭრებს განსაკუთრებული სოლიდარობა ეტყობოდათ. 25 აგვისტოს ებრაელმა ვაჭრებმა ვახშამი გაუმართეს ადგილობრივ ქრისტიან ვაჭრებს.

**ლაშის—პირელი.**

—

**ხონი.** წელს ადგილობრივ ნედლ პარკით მოვაჭრეებმა პარკის ფასი გვარიანად ასწიეს. საქართველოს თითქმის არც ერთ კუთხეში არა ჰქონდა პარკს ისეთი ფასი, როგორიც ხონში. სხვაგან თუ 12-15 მანეთამდე ფასობდა ფუთი პარკი, ხონში ადგილობრივ ვაჭრების წყალობით 18 მანეთად გადიოდა ფუთი. სხვა ადგილებიდან მოსული ვაჭრები ცდილობდნენ დაეწიათ ფასი და 12 მანეთში ეყიდნათ. პირველ ხანში მეტსაც არ აძლევდნენ. რასაკვირველია, ამ ფასებში არ აძლევდნენ პარკს მწარმოებელნი, რადგან მეზობელი ვაჭრები მეტს იძლეოდნენ. ბოლოს, მოსულმა ვაჭრებმაც იკადრეს და ძალაუნებურად მოუმატეს ფასი. რაკი ნედლი პარკი ძვირად იყიდეს, ხონელ ვაჭრების მეოხებით ხმელი პარკის საზღვარ-გარედ გამტან ვაჭრებს გადაუწყვეტიათ, წვრილი ვაჭრებისაგან არ იყიდონ პარკი. დადგა მართლაც ენკენისთვე და ხონში გამხმარი პარკი არც ერთ ვაჭარს არ გაუყიდნია. „ექსპორტერებს", საზღვარ-გარედ გამტან ვაჭრებს, განუზრახავთ არამც და არამც არ იყიდონ ადგილობრივ ვაჭრებისაგან გამხმარი პარკი: ამით სურთ, დასცენ და დაამარცხონ ადგილობრივი ნედლი პარკის ვაჭრები. ერთის სიტყვით, ხონელ ვაჭრებს მსხვილი ვაჭრები ლოკაუტს უცხადებენ. ლოკაუტს კი, რასაკვირველია, შეერთებული ძალა გასტეხს და აკი ხონელი ვაჭრებიც ერთდებიან. ამ უკანასკნელებმა პირველ ენკენისთვეს მოახდინეს კრება და გადასწყვიტეს შეაგროვონ თავიანთი საქონელი ერთად და ჩინეთის ბანკის საშუალებით თითონ გაჰგზავნონ საზღვარ-გარედ. ამ საქმეში მათ დახმარებასა და ხელმძღვანელობას შეჰპირდა ბათუმის საურთიერთო ბანკის დირექტორი ბ-ნი სვიმონ მდივანი. ხონელ ვაჭრებს იმედი აქვთ, რომ მათ შეუერთდება გურია-სამეგრელო და ამგვარად თავს გაინთავისუფლებენ მსხვილ ვაჭრების კლანჭებისაგან.

**გ. ფახკუნჯი.**

—

**სოფელი ახალქალაქი** (გორის მაზრა). ამ თვის პირველ ს. ახალქალაქში მოხდა ძეგვის ოლქის მერობის არჩევანი. თუმცა დიდი ხმის უმრავლესობით გიგო მაღალაშვილი აირჩიეს, მაგრამ ჩვენი ბრწყინვალე წოდების მეოხებით არჩევანი გააუქმეს და 14 ამ თვისთვის ხელ-ახალი არჩევნები დანიშნეს. ექვსი წელიწადია ამ თანამდებობას უსასყიდლოდ ასრულებდა თ. გიგო მაღალაშვილი. პირველ ენკენისთვეს ხალხი ბლომად მოგროვდა. ძეგვსა და ხიდისთავს შუა მდებარე სოფლებიდან ათ კომლზე ერთი კაცი მოვიდა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. არჩევნების საწარმოებლად თავადი ტატო თარხან-მოურავი იქმნა არჩეული. სულ სამმა კაცმა დაიდგა უთი. ი. თარხნიშვილმა, გ. ჯავახიშვილმა და გ. მაღალაშვილმა. კენჭის ყრა დახურული იყო, მაგრამ რადგან ხალხმა რაღაც შენიშნა, მოითხოვა ახლილი არჩევნები: გამოაცხადეს, ვისაც მაღალაშვილი გსურთ მერობად, ცალ მხარეს დადექითო და ვისაც ჯავახიშვილი, მეორე მხარესაო. ამ დროს გ. მაღალაშვილი სოფლის სამმართველოს აივანზე იდგა. იგრიალა ხალხმა, მივარდა მაღალაშვილს და მიიყვანა ხელით დანიშნულ ადგილას, თან იძახდა აი, ეს გვინდაო. მიუხედავად ამისა, არჩევნები კანონიერად არა სცნეს და ხელ-ახლა ახალი არჩევნები, როგორცა ვთქვით, 14 ენკენისთვისთვის დაინიშნა.

**ივანიკა.**

## პროზა

(ესკიზები უბის წიგნიდან)

### I.

### მთვარიან ღამის ჩრდილში.

მთვარიან ღამეში სოფლის ვიწრო, ოლრო-ჩოლრო გზა დიდ მანძილზეა დაკავებული:

ხუთი ცხენოსანი, რამდენიმე ქვეითი, და სამი ურემი ბრუნდება დღეობიდან.

მოყვარე კარგად დახვდა სტუმრებს; ყველა ნასიამოვნები მიდის სახლში: ყმაწვილები შეზარხოშებულნი არიან; მოხუცები —მთვრალნი; დედაბრებმა მოიგონეს თავიანთი წარსული, იმასლაათეს, მკვდარი აქეს და ცოცხალი გაქექეს; ქალიშვილებმა ცეკვით იჯერეს გული; ჭრელი თავსაფარი, წითელი ქოლგა ხალხს აჩვენეს, იკასკასეს, იცინეს; ბავშვებმა ირბინეს, ბურთი ითამაშეს. შვილებმა იქეიფეს; დედა-მამამ მტერს თვალი [illegible] და მოყვრის გული გაუხარა ოჯახის შეძლებით.

როცა [illegible] ჩრდილით მიძინებულ ადგილს მოჰხვდება, ახალგაზდა, ჩაბალახ-ჩამოფარებული ბიჭი მივარდება ურემთან, ვისასაც მუჯლუგუნს წაჰკრავს და ჩაუჩურჩულებს:

— მეიწიე აქეთ, ძლაბო!

— გაჩუმდი, დეიდა გეიგონებს...

— ნუ გეშინია, სძინავს. თუ გინდა, გეიგონოს, მაგი ჩემკენაა. საფერისცვალებოთ ისეთი ბალდაჲი მოუტანე, სულ იკივლა სიხარულით. მითხრა, მე ვიციო...

— წადი, შე გასაწყვეტო, მამშორდი; აქ სინათლეა:

ბიჭი შორდება რამდენიმე ხნით. ჩრდილთან ერთად ისიც აჩრდილსავით მიეპარება ურემს. გოგოს. სანამ მოვიდოდეს, გული მოსდის სად არის ამდენს ხანსაო.

— ოლიკო...

— ჰო, რა გინდა, რა შემიწვრილე გული?!...

— ი ბიჭი ვინ იყო, შენთან რომ ცეკვავდა?

— ვინ იყო?! რა შენი საქმეა, ვინ იყო...

— თავს ნუ იგდებ! ვინ იყო—მეთქი?—ბიჭმა გოგოს ხელი წაატანა ხელში და მოუჭირა.

— ვინ იყო და ძაან კაი ბიჭი! ოქრომჭედელია.... ბაბაიმ მითხრა იმას მიგცემო.... იი! გასკდი გულზე!

— ძაღლმა შემჭამოს, თუ შენც და ისიც საშობაო გოჭსავით არ გამოგფატროთ!...—და ბიჭმა ძალზე მიიზიდა გოგო თავისკენ, ხელი კიდევ უფრო მოუჭირა და ჩაეკითხა: —მართალს ამბობ თუ ხუმრობ?...

მთვარის სინათლემ ისევ გადაკრა მათ.

— ვხუმრობ, ვხუმრობ! ნუ გადირიე—შეგვხედავენ!

მგზავრობის წინ, სულ თავში გოგოს მთვრალი მამა მიდის; ცხენზე აქეთ-იქით ექცევა და ბუზღუნობს: „ძაან კაი, შენუ მომიკვდე! გვარიანათ ვიქეიფეთ, დავთვრით... ჩემი გოგო იმ ბიჭს მეეწონა... შეძლებული და კაი ხელობის კაცია. ერთი ორი კვირე კიდე და უფსკვნი ჯვარს... და... მოვრჩები ერთ საქმეს"...

— აბა სიტყვა მომეცი!—მიუახლოვდა ისევ ბიჭი.

— რისი?—თითქოს არ იცისო იცუღლუტა გოგომ.

— რომ არ მიმტყუნებ, ჩემს მეტს არ ინდომებ.

— ჯერ შენ მომეცი. არა, შემომფიცე!

— შენ თუ გიმტყუნო, დამექცეს ოჯახი, წმინდა გიორგის ლახვარი მომხვდეს!

— შენ მეტს თუ გავყვე, ღმერთი გამიწყრეს, დედა წამიწყდეს...

— აბა, ნახვამდის, არ დაგავიწყდეს!—და ბიჭი გადუხვევს გზა—ბოძალში.

მთვარიან ღამის ჩრდილში მზადდება დრამა.

ქაღალდზე კი არ დაიბეჭდება,

მსახიობები კი არ წარმოადგენენ,

ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები: იქნება ბრძოლა ნებათა, სურვილთა, ძალთა და უფლებათა. დამარცხებული ვეღარ იხარებს მთვარიან ღამის ჩრდილში.

### II

### ვინ არის სატირალი?

ტირილია. ძველებური, ჩვენებური ტირილი. ქალებს თმები გაუწეწიათ. ვაჟები შუბლში ირტყამენ ხელს. ცრემლის ზღვა სდგას.

მიცვალებული სიშინელის სისწრაფით გარბის.

მშვენიერებაა, მშვენიერება: არც სცივა, არც სცხელა; სიმშვიდე, ნეტარებაა. დავისვენე, როგორც იქმნა!—გაიძახის მიცვალებული.

„საცოდავი, რა ახალგაზდაა! გული მოგიკვდება, კუბოს რომ დახედავ: თითქოს სძინავსო! ჯერ ცხოვრების სიმწარეც კი არ უნახავს! საწყალი! უბედური! აი ეს კი არის სატირალი!"—გაისმის საზოგადოებაში.

---

— ახლა მიწა არა აქვსო—განაგრძო ქმარმა—სტყუის, ვინც ამბობს ჩვენ გლეხს მიწა არა აქვსო. მიწა აი ჩინელებს არა აქვთ. აი იქ მესმის, რომ აჯანყება მოახდინონ... თორემ არა აქვთ და სამეათედოდ თუ მომცემთ, ვიმუშავებ, თუ არა და, არაო, იტყვით?.. მადლობა ღმერთს, მე კარგად ვიცი, როგორ უნდა გლეხებს მოპყრობა და მერწმუნეთ რომ ჩემი კმაყოფილნიც არიან, ვუყვარვარ კიდევაც გლეხებს. მე როდი მიყვარს იმათი დატუსაღება, გადასახლება, ციმბირში გაგზავნა... ერთ-ორს რომ მოსცხებ კარგებს ჩვენ ტეტიას, ოფოფები მაშინვე გამოუფრინდება თავიდან, მორჩილი და პატიოსანი კაცი გახდება, თორემ სოციალიზმის ოფოფები რომ შეუჯდა, სულ გადირია...

არ ვიცოდი, როგორ შემეწყვიტა ეს უთავბოლო ლაპარაკი. ვსწუხდი საშინლად. შევდავებოდი, ვაი თუ გამეფუჭებინა საქმე, არა და ჩემი გული ბუდიდან გადმოხტომას ლამოდა.

მაგიდა გაივსო სხვა და სხვა სანოვაგით: კარაქი, ყველი, ცოცხალი თევზი, წიწილები: ყველაფერი ბლომად იყო.

— მიირთვი, მიირთვი,—გამოსწია ჩემკენ ქეთომ ნაღებიანი ყავა.

— ეს ერთი ქალი გყავთ?—გავიმეორე კითხვა.

— არა კიდევ გვყავს ერთი ვაჟი. ქეთო, სად არის გოგლი?—მიუბრუნდა მარჯიანიძე ცოლს და ისევ გამოიხედა ჩემსკენ.—ჩვენი გოგლი, მარია სპირიდონოვნა, ოჯახის დამამშვენებელი და ჩვენი სიამაყეა. ჩვენ ვამაყობთ იმით. ჯერ ერთი ნახეთ იმის ნიშნები—მან ამოიღო უბის ჯიბიდან და გაშალა:—აბა უყურეთ: სულ ხუთ-ხუთი. საღმრთო სჯული—ხუთი, რუსული—ხუთი, არითმეტიკა—ხუთი, გეოგრაფია—ხუთი. მესამე კლასში გადავიდა. ისეთი სიმღერა იცის, რომ გიამებათ, ამასთან გულკეთილია... ერთი ნაკლულევანება აქვს, რომ მეტის-მეტად ცოცხალია: ერთ წუთს ვერ დადგება წყნარად...

სწორედ ამ დროს განცვიფრებულმა დავაღე პირი: ბაღის კარები გაიღო და სიცილ ხარხარით, სიმღერით და ხტუნაობით გამოქანდა ჩვენკენ ჩემი ეტლის თანამგზავრი გიმნაზიელი თეთიკაური.

— აჰაა, ჩემი ძველი ნაცნობი კაციც აქა ყოფილა! ბატონ თეთიკაურს გაუმარჯოს!—წარმოვსთქვი მე შემსუბუქებულის გრძნობით და მხიარულად გავუწოდე ხელი შავთვალა ბიჭს.—ხომ მიცანი, ეტლში ერთად რომ ვიმგზავრეთ?

ბავშვმა სწრაფად შემომხედა, უცებ ჩაჩუმდა, გაფითრდა და შეხედა დედ-მამას, რომელთაც უცებ ფერმა გადაჰკრათ და თვალები რისხვით და ცრემლებით აევსოთ. არ მესმოდა, რა მოხდა. ბავშვმა ერთი კიდევ მიმოიხედა, ტანჯულად დაიქმუხვნა, ატირდა და გაიქცა სახლისაკენ.

— აჰ, საძაგელი, ლაწირაკი,—სთქვა ცოტა სიჩუმის შემდეგ მარდიანიძემ, წამოხტა და ჩქარის ნაბიჯით გასწია სახლისაკენ. ინგუში უკან აედევნა.

— ნიკო, ნიკო, თუ ღმერთი გრწამს!—მიაძახა მუდარით ცოლმა, მაგრამ ნიკომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მაშინ ცოლი ადგა, ისიც ჩქარის ნაბიჯით თვალცრემლიანი იხვისავით ბაჯბაჯით გამოუდგა წასულებს. მის მსუქან ტანის სიმძიმისაგან თითქოს იზნიქებოდა სუსტი ფეხები. გრძელი კაბის კუდი შრიალით მისდევდა, მწვანეზე შორს გაშლილი.

არ მესმოდა, საქმე რაში იყო. მივხვდი კი, რომ ბავშვს თავის დედ-მამისა ერცხვინებოდა. გამდელი კი ნელ-ნელა, როგორც შევატყვე, კმაყოფილი იღიმებოდა.

— როგორ ეწყინა კნიაზს და კნეინას,—ვეღარ მოითმინა და სთქვა მან ბოლოს.

— რა ეწყინა, ან რისთვის სტყუის მართლა ის ბავშვი?

— ბავშვიც არ არის მთლად გასამტყუნი, ბატონო,—მითხრა ქალმა,—ერთხელ თურმე, რომ მოდიოდა, გზაში ჰკითხეს, ვისი შვილი ხარო და რომ უთხრა, ვისიც იყო, ყველამ თურმე ლანძღვა დაუწყო, აი რა მამა გყოლიაო. იმის შემდეგ ალარავის არ ეუბნება თავის ნამდვილ გვარს... თქვენ გითხრათ, თეთიკაური ვარო?.. დახე, ჩემი გვარი დაურქმევია. წინად კიდევ სხვა გვარი ეთქვა.

საბრალო ბავშვი! მე მომაგონდა მისი ტანჯული გამომეტყველება ეტლში, როცა გაიგო გლეხის ცემა და ნამეტნავად მაშინ, როცა ვინაობა ჰკითხეს. იმისი პაწია, თეთრი, თითქოს დამნაშავის ფიგურა, ჯიბეში ხელებ ჩაწყობილი. მე ახლა დარწმუნებული ვიყავი, რომ მაშინ მამის გულისათვის იტანჯებოდა.

კარგა ხანს ვიჯექი. გამდელი და თინა წავიდნენ. არ ვიცოდი, წავსულიყავი თუ დავრჩენილიყავი კიდევ. ვგრძნობდი, რომ ალარაფერი გაკეთდებოდა. ირგვლივ სიჩუმე იდგა. ოდესღაც მშვენიერი ხილის დიდი ბაღი ახლა მივიწყებულ-მიტოვებული იყო, მაგრამ მაინც დიდებულს და მშვენიერს კუთხეს მოაგონებდა. ვეებერთელა კაკლებს გაეშალათ თავიანთი ტოტები და ამაყად გადასცქეროდნენ ბაღის გასწვრივ ჩქრიალა არხს. წითლად დაბრაწული ვაშლები ზნექდნენ ტოტებს და შორს ბაღის ბოლოში მოსჩანდა მტევნებით დატვირთული ვენახი. სახლის გასწრივ დაბლობში, მტკვრის ნაპირებზე, გადაშლილიყო ველა, თვალუწვდენი, ახალი ანეულებით აჭრელებული მიდამო და მთა-გორების მწვანე კალთებზე შეფენილი ქართლის ჭირ-ვარამის მდუმარე მოწამე კოშკებით ამოქარგული, კოპწია სოფლები.

მოვიდა ქეთო. გაიღიმა, თუმცა აწითლებულ თვალებზე და დაბრეცილ ტუჩებზე ეტყობოდა, რომ უფრო ეტირებოდა.

— ნიკომ ბოდიში მოიხადა, ძალიან საჭირო საქმე ჰქონდა და წავიდა,—სთქვა მან და დაჯდა. ცოტა სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო:—არა, შენ წარმოიდგინე, მარო, ამისთანა უმადურობა იქნება?.. ნიკოს ისე უყვარს გოგლი, რომ იმისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებს და... ეჰ, რა დრო დადგა... ეხლანდელი ბავშვები... უგულოები არიან... უგულოები...—მან მიიფარა თვალებზე ხელი და ჩაჩუმდა. ცოტა ხანს შემდეგ ხელი ისევ ჩამოიღო და უფრო მკაფიოდ, მაგრამ დაბნეულად, თითქოს თავისთვის, განაგრძო:—არა, ერთი ვერ გამიგია, ერთი... ვერ გამიგია, რისთვის მალავს თავის გვარს?.. ღმერთო, ამაზე უარესი საშინელება იქნება?.. საკუთარ შვილს ერცხვინებოდეს მამისა?!..

ქეთო დაეყრდნო მაგიდას და დალონებულის, ტანჯულის სახით გასცქეროდა შორს სივრცეს.

დაბლა სივრცეში კი, მტკვრის დაყოლებაზე, ქშენითა და სტვენით მიიკლაკნებოდა მატარებელი, მაგრამ გოგლის დედა იმას ვერც კი ჰხედავდა.

მე ვიჯექი, ვიჯექი და არ ვიცოდი, რა მეთქვა. სიმართლის თქმა სიმკაცრედ მეჩვენებოდა, მოტყუება კი არ მინდოდა.

ჩუმად ავდექი, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

**ნინო ნაკაშიძე.**

სტირიან გულამოსკვნით, წრფელად. ცრემლის ზღვა სდგას.

„არავინაა აქ?“ მოესმის საიქიოს კარებში ახლად მისულს?

„მე ვარ“.

„არ გინახავთ ჩემი შვილი“?

„არა!“—ახალ-მოსული გარბის.

„აი, ღმერთო, რამდენს მოსულს ვკითხავ ჩემის შვილის ამბავს, მაგრამ ამაოდ: აქ ყველაფერი ავიწყდება ხალხს. მხოლოდ ის-ღა მტანჯავს, რომ შვილის ამბავი ვერ გავიგე... არავინაა აქ?..—ხელ-ახლა იძახის დედა.

ამ დროს ტირილში მიცვალებულის დედა, თვალებ-გაშტერებული, გაყვითლებული, ჩამომდნარი, გაშეშებული სდგას და ფიქრობს: „სადაა ჩემი შვილი?“

ხომ იცით, ვინც არის სატირალი!..

III

მზე, მისი სხივები, ყოველ არსის მაცოცხლებელი, ყოველ არსის შემქმნელი. შიმშილი და სიცივე, ჭკუა და სილამაზე უპირველესად მზეზე არის დამოკიდებული.

მთვარე მაინც უფრო მოგვწონს...

მდინარე რწყავსყანებს, აბრუნებს წისქვილებს, გვირეცხს და გვიწმენდს; ვსვამთ ხშირად, ხშირად ხომალდები, ნავები დადიან მდინარეზე.

ანკარა რუ მაინც უფრო მოგვწონს.

ჰალა, დაბლობი ადგილი, გვასაზრდოვებს, გვკვებავს, ადვილად მოვიხმართ, როგორც კი გვეჭირვება.

მთა, თვალ-უწვდენელი სალი კლდე მაინც უფრო მოგვწონს.

ქათამი, ბატი, იხვი საუნჯეა ოჯახისა. კუჭი მათზეა დამყარებული.

ორბი, ცაში რომ ფრთა-გაშლილი გაქავდება, მერე გასრიალდება მსხვერპლის მოსატაცებლად, მაინც უფრო მოგვწონს.

ბედნიერია, ვინც სასარგებლოსა და სასიამოვნოს შორის „ზღვარის“ დადებას მოახერხებს.

სასარგებლოს—პატივისცემა, დახმარება; სასიამოვნოს—სიყვარული, თაყვანისცემა.

„რათ მინდა პატივისცემა, თვით „ცაც რათ მინდა, თუ სიყვარული თან არ დაჰყვება“. **ნ. ლ.**

## მოზრდილ ქალთა კურსები

სკოლის გარეშე დარჩენილთა რიცხვი დღეს მეტად დიდია. უმთავრესი მიზეზი—სიღარიბე, ხელ-მოკლეობაა. ტფილისში ეს მეოთხე წელიწადია, მოქმედებს მასწავლებელ ქალთა საზოგადოებასთან არსებული პატარა წრე, რომლის მიზანიც ის არის, რომ ხელი შეუწყოს იმ მოზრდილ ქალებს, რომელთაც სიღარიბის გამო სწავლა არ მიუღიათ, სურვილი-კი აქვთ ცოდნა შეიძინონ. მასწავლებელთ კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს დღეს ცოდნა-მოკლებული კაცი; რამდენი დაბრკოლება ელობება ცხოვრების გზაზე. ასწავლიან თავიანთ სურვილით გამოცხადებულ მოზრდილ ქალებს საშუალო სასწავლებელში შემოღებულ ყველა საგანს.

შარშან მოსწავლე ქალთა რიცხვის ნახევარი—ქართველობა იყო. რის გამო წელს შემოიღეს ქართული ენა, საქართველოს გეოგრაფია, ისტორია, ძველი და ახალი მწერლობა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ყურადღება მიაქცია კურსების მეთაურთა თხოვნას შემწეობის შესახებ.

საქმის სამწუხარო მხარე იმაში გამოიხატება, რომ მოზრდილ ქალთა კურსების ხელმძღვანელნი, თვითონ ხელ-მოკლე მასწავლებელი ქალები, იძულებულნი არიან თვეში ხუთი მანეთი გადაახდევინონ თვითეულ მოსწავლეს, რაიცა ბევრს სიღარიბისა გამო, ეძნელება. ხელმძღვანელნი ახლა შემდეგ გზაზე დადგნენ. ჰპართავენ სალამოობით იმავე კურსებზე მოწაფეთათვის ხელობის სწავლებას (ჭრა-კერვას, ქსოვა-ქარგვას, მეჩექმეობას და სხვას), რათა ხელ-მოკლე მოსწავლემ თავის სწავლების ფასი თვითონ თავის საკუთარ შრომით დაიმუშაოს. ნაშრომის გასაღებას თვით კურსების მეთაურნი კისრულობენ.

თავის განზრახვის ასასრულებლად, სახელოსნოებისა და ბიბლიოთეკის მოსაწყობად, მეთაურნი მართავენ დღეს, 8 სექტემბერს, საღამოს „მუზას“ ბაღსა და სინემატოგრაფში სხვა და სხვა გონიერ გასართობით. იმედია საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება საღამოს.

ადრესი კურსებისა—ალექსეევის ქუჩა, № 17 (კუკიაში).

## სპარსეთი

**იარაღის შეტანის აკრძალვა.** მთავრობამ კერძო პირებს აუკრძალა იარაღის შემოტანა სპარსეთში. ამას გარდა სპარსეთის შიდა ქალაქებში კერძო პირებს აუკრძალათ იარაღით ვაჭრობა, შესაფერ ნებართვის აუღებლად.

**სამხედრო კომისიის დადგენილება.**

დროებით მეჯლისის მიერ დაარსებულმა სამხედრო კომისიამ დაადგინა, ევროპიელ წესზე ჯარის გასაწვრთნელად ევროპიელი ნასწავლი ინსტრუქტორები მოვიწვიოთო.

**ახალი მეჯლისი.**

თეირანში თან და თან იკრიბებიან ახალ მეჯლისის წევრები. რა წამს თეირანში დეპუტატთა რიცხვის ნახევარი შეიკრიბება, იმ წამსვე გახსნიან მეჯლისს.

**ზილი-სულთანი.**

„ბაქუ“-ის კორესპონდენტი სწერს: „ზილი-სულთანი ჯერ კიდევ არ გაანთავისუფლეს, იგი ისევ რეშტშია დაპატიმრებული. მხოლოდ ამას წინად ნება მისცეს, რომ რევოლიუციონერების თანხმობით ქალაქსა და მის მიდამოებში გაისეირნოს ხოლმე. ზილი-სულთანმა სთხოვა მთავრობას, ისპაჰანში წამიყვანეთ, იქ ჩემს მამულებს დავაგირავებ და ჩემზე დადებულ ჯარიმას გადავიხდიო“.

**მამედ-ალი უაზვინში.**

„ნოვ. ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება: ნაშაჰარი მამედ-ალი მშვიდობიანად მოვიდა უაზვინში, რუსის ჯარმა დიდი სამხედრო პატივით მიიღო იგი“.

პეტერბურგიდან ატყობინებენ „ბაქუ“-ს: „თუ გამართლდება ის ცნობა, რომ მამედ-ალი უარს ამბობს რუსეთში წასვლაზედ, რუსეთის მთავრობა სრულს თავისუფლებას მისცემს მას, ხოლო დახმარებას კი აღარ გაუწევსო“.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო წარმოდგენა.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში 6 სექტემბერს დაიწყო სახალხო წარმოდგენების სეზონი. დასაწყისი კარგი იყო. ეტყობა, სახალხო წარმოდგენების ქართული სექცია და სცენის მოყვარენი ამ ზაფხულს გულ-ხელ დაკრეფილნი არა მსხდარან და მდგომარე სეზონში ისევე მხნედ და მუყაითად აპირებენ მუშაობას, როგორც წინა სეზონში მოიქცნენ. მით უფრო სამწუხაროა ის უთანხმოება, რომელიც სექციის წევრთა შორის ჩამოვარდნილა და რომლის გამოც რამდენიმე წერილი უკვე დაიბეჭდა გაზეთებში, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ასე თუ ისე საქმე მოგვარდება და უთანხმოება არავითარ გავლენას არ იქონიებს წარმოდგენების მსვლელობაზე. წინადაც გვითქვამს და ეხლაც გავიმეორებთ, რომ ქართულ სახალხო წარმოდგენებს ჩვენში დიდი მომავალი მოელით, მით უმეტესად, რომ ჩვენი დიდი სცენის გამოღვიძებას და ფეხზე დადგომას არაფერი არ ეშველა. ან-კი როგორ ეშველება: არტისტები, ძველები და ახლები, არავითარ ინიციატივას და მოქმედების უნარს არ იჩენენ და დრამატიულ საზოგადოებას შეჰყურებენ, ხოლო ამ უკანასკნელის მეთაურთ ვერც წინად გაუკეთებიათ რამე და, როგორც ეტყობა, ვერც ეხლა გააკეთებენ. აი, ენკენისთვე დაიწყო და ქართულ წარმოდგენების შესახებ ჩამიჩუმიც არ არის. არაფერი ისმის არც არტისტთა ძალების გაძლიერებაზე, არც რეპერტუარის გაუმჯობესებაზე და არც სხვა რამეზე... მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ სახალხო წარმოდგენას.

სექციამ სეზონი კლასიკურის პიესით—შილლერის „ყაჩაღებით“—დაიწყო და შემდეგისთვისაც კლასიკურ პიესებს გვპირდება. საუცხოო აზრია. თავის თავად აშკარაა, რომ თეატრში მოსიარულე ხალხს ვერც ერთი ძველი და ახალი დრამატურგი ვერ მისცემს იმდენ გონების საზრდოს, რამდენსაც შექსპირი, შილლერი და შემოქმედების სხვა ბუმბერაზნი აძლევენ. ხოლო თუ აქამდე სახალხო თეატრში კლასიკურ პიესებს არა სდგამდნენ, ამისი მიზეზი ალბად ის იყო, რომ სცენის-მოყვარეებს ძალღონე არ შესწევდათ. 6 სექტემბრის წარმოდგენამ დაგვიმტკიცა, რომ სექციამ ამ მხრივ დაბრკოლებას დასძლია.

უპირველესს ყოვლისა, ძნელი და რთული სცენები ამ პიესისა რიგიანად იყო მოწყობილი, ისე, რომ უკეთ არც დიდ ქართულ სცენაზე გვინახავს. ახალი დეკორაციები (ჩვენ წინად არ გვინახავს) ხელს უწყობდა ამას. სტატისტებიც თუმცა ცოტანი იყვნენ, მაგრამ შეგნებულად მოქმედებდნენ. არც საერთო ანსამბლი დარღვეულა შესამჩნევად.

მთავარ როლს, ფრანცისას, ასრულებდა ბ-ნი იმედაშვილი. ქართველ საზოგადოებას იგი ამ როლში უკვე უნახავს. ამ პიესაში ჩვეულებრივ დიდი და ნიჭიერი არტისტები გამოდიან და ვისაც-ეს უკანასკნელნი უნახავს, იმედაშვილი სუსტად მოეჩვენება. რა თქმა უნდა, იმედაშვილი შემოქმედებას ვერ იჩენს, მაგრამ როლს მაინც არ აფუჭებს. უფრო სუსტობდა არტისტი ძლიერ სცენებში,—მამის მოკვლისა და უკანასკნელ სცენაში,—სადაც მეტი აღმაფრენა და შემოქმედებაა საჭირო.

ძალიან მოგვეწონა კარლოს მოორის როლის აღმსრულებელი ილია ზურაბიშვილი. ახოვანება, რიხიანი ხმა, ვაჟკაცური მიხვრა-მოხვრა—ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ კეთილშობილ „ყაჩაღის“ კარლოსის ბუნება დაეხატა. ქართულ სცენაზე ზურაბიშვილი საუკეთესო კარლოსად უნდა ჩაითვალოს. ორჯელ-სამჯერ ამ როლის ასრულება და ზურაბიშვილი თითქმის უნაკლულო კარლოს მოორი იქნება.

ნაზად ჩაატარა ამალიას როლი ქ-ნმა ქიქოძემ. ბ-ნმა ბაქრაძემ შესძლო შპიკელბერგის გაიძვერა და მშიშარა ბუნების გადმოცემა. პატრის როლი ზედ-გამოჭრილი იყო ბ-ნ გოცირიძისთვის. სხვა მონაწილენიც არ იყვნენ ურიგონი.

თეატრი, რა თქმა უნდა, გაჭედილი იყო მშრომელ და მუშა ხალხით. ბევრმა ვერც-კი იშოვნა ბილეთი. ბევრს ჩარჩებისაგან აბაზ-ექვს შაურიან ბილეთის თოთხმეტ-ხუთმეტ შაურად მოუხდა ყიდვა. ამას სექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს. წარმოდგენა სწორედ რვა საათზე დაიწყო და თორმეტს მეოთხედი აკლდა, რომ გათავდა ასეთი დიდი პიესა. ამ მხრივაც სახალხო თეატრმა წინ გაუსწრო დრამატიულ საზოგადოებას და იმის არტისტებს.

შემდეგი სახალხო წარმოდგენა დანიშნულია 17 სექტემბრისათვის. წარმოადგენენ შექსპირის კომედიას „ჭირვეული ცოლის მორჯულებას“.

—

**ოპერა ტფილისშ.** სახაზინო თეატრში სეზონი 17 სექტემბერს დაიწყება. განზრახული აქვთ ამ სეზონში ტფილისისთვის ახალი ოპერები დასდგან. სხვათა შორის, დასდგამენ: „პელეას და მელიზანდა“-ს მუს. დე-ბიუსსისა (დე-ბიუსსი ფრანგი კომპოზიტორია, ახალი მიმართულებისა)., „თეიას“—რებიკოვისა, „ტაის“ — მასენისა, „ქ-ნი ბატერფლეის“ პუჩინისა, „ორიფისე“ „შოპენ“—ორევიჩისა, „ანდრიენა ლეკუვრერი“—ჩილეისა, „ნეტრაზიმაია“ ოსტროგლაზოვისა,„მანკლარელ ჯალათს“—ფონდერლანგერისა და სხვა. ამას გარდა დასდგამენ: ბოიტოს „მეფისტოფელს“ ჩაიკოვსკის —ჩარადეიკას“ რიმსკი-კორსაკოვის— „სადკო“-ს, როსსინის — „ვილჰელმ-ტელს“, მარტველდის — „გამარჯვებულთ სიყვარულის სიმღერას“ და სხვას.

რადგან განზრახული რეპერტუარი მეტად რთულია, ამიტომ დასის ხელმძღვანელთა რიცხვი შარშანდელზე მეტია. დასს ეყოლება სამი დირიჟორი, 2 ხორმეისტერი, 2 უფროსი კონცერტმეისტერი, 2 რეჟისორი, გარდა სამხატვრო ნაწილის გამგისა, მოწვეულია ახალი მხატვარი-დეკორატორი ა. ა. დმიტრიევი, სცენის ახალი მაშინისტი საიმპერატორო თეატრების არტისტი ვ. ს. ხმელევსკი.

ახალი და განახლებული ოპერები დაიდგმის საშაბათობით. ამ დღეს გაიმართება „გალა“ წარმოდგენები. ამ წარმოდგენებზე ეხლავე შეიძლება აბონემენტების აღება.

პირველი ოპერა დაიდგმება 17 სექტემბერს.

## რუსეთი

**სრულიად რუსეთის აღწერა.** „რანეე უტრო“ იუწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე შეუდგა სრულიად რუსეთის მცხოვრებთა აღწერის მზადებას. ამბობენ, რომ მცხოვრებთა აღწერას 1910 წლის პირველ ოქტომბერს მიახდენენო. აღწერა ამავ დღეს გათავდება. განზრახული აქვთ აღწერაში 1907 წლის აღწერის მონაწილეები მიიწვიონო.

**გერცენშტეინის მოკვლის საქმე.** 9 სექტემბერს ფინლიანდიის სასამართლო გაარჩევს გერცენშტეინის მოკვლის საქმეს. (მე-24 ჯერ ინიშნება ამ საქმის გარჩევა). როგორც ვიცით სამართალში, სხვათა შორის, მიცემულია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს თავმჯდომარე ცნობილი დუბროვინი. „რეჩი“-ს სიტყვით დუბროვინი ეხლაც არ გამოცხადდება სასამართლოში. „კავშირის“ მთავარ საბჭოს გადაუწყვეტია როგორც იყოს მოახერხონ და ხელმწიფე-იმპერატორი ნახონ, ხელმწიფეს სთხოვონ, რომ „კავშირს“ მასხარად ნუ აიგდებინებენ ფინლიანდელებს.

სატახტო ქალაქის გაზეთები იტყობინებიან, იუსტიციის მინისტრმა გადასწყვიტა, თუ დუბროვინი თავის წესით არ გამოცხადდა სასამართლოში, ვაიძულებთ რომ გამოცხადდესო.

**სასულიერო სასწავლებლებში.** სინოდს გადაუწყვეტია და უკვე ბრძანებაც დაუგზავნია სასულიერო სასწავლებლებისთვის, უფროს კლასების მოწაფეები კვირაში ორჯერ შეკრიბეთ ხოლმე და ებაასეთო. სინოდის ბრძანებით მასწავლებლებმა უმთავრესი ყურადღება ტოლსტოის სწავლას უნდა მიაქციონ და მოწაფეებს მისი სიყალბე დაუმტკიცონ.

**სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება.** „ზემშჩინას“ სიტყვით მთავრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების ბედი. კრებას მოიწვევენ მომავალ წელს.

**შურისძიება.** ჟურნალ „რუსკ ბოგატსტვო“-ს ივლისის ნომერში, სხვათა შორის, დაიბეჭდა ვინმე კ—ის წერილი. — თავის წერილში ეხებოდა საგლეხო ბანკის მოქმედებას. ამ წერილს ყველამ მიაქცია ყურადღება. რა თქმა უნდა არც მთავრობა ჩამორჩა. სხვებმაც და მანაც გააბედნიერა კ—ი თავის ყურადღებით. დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ მთავრობას ეჭვი აუღია ვილნოს საგლეხო ბანკის ბუჰგალტერის თანაშემწე კოსინევსკიზე და უთხოვნოთ დაუთხოვნიათ. წერილის ავტორი მართლაც კოსინევსკი აღმოჩნდა. დათხოვნის შემდეგ კოსინევსკის ამხანაგებს გადაუწყვეტიათ სახსოვრად რამე საჩუქარი მიეცათ კოსინევსკისთვის, მაგრამ ადგილობრივ მთავრობას ნება არ მიუცია.

**პურიშკევიჩის პროექტი.** პურიშკევიჩს სახელმწიფო სათათბიროს საზაფხულო კანიკულებით „უსარგებლნია“ და შეუდგენია პროექტი, რომლითაც ბესარაბიიდან ებრაელები უნდა განიდევნონ.

**ცირკულიარი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებში ხმა დადის თურმე, ამ მოკლე ხანში შინაგან საქმეთა მინისტრი გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს ცირკულიარს დაუგზავნის. ცირკულიარში ნათქვამი იქნება, შეამცირეთ რეპრესიები, ბეჭდვით სიტყვას წინანდებურად ნუ მოექცევითო.

**ჟუჩენკო-გერნგროსი.** ამ უკანასკნელ დროს პროვოკატორების რიცხვს ერთი კიდევ მიემატა. ეს გახლავთ ჟუჩენკოგერნგროსი. ჟუჩენკოს შესახებ ჩვენ გაზეთში საკმაო დაიწერა: „რუსკ. ვედ“-ში დაბეჭდილია ერთი ექიმის მოგონება. ამ ექიმს ჟუჩენკო 1890 წელს ვაუცვნია. აი რასა სწერს ექიმი: გერნგროსი სიმპატიური შეხედულებისა იყო და ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა მოსკოვის სტუდენტებში. გერნგროსი კარგად იყო ცნობილი, ყველა მისი ნაცნობი მისი გულწრფელი მეგობარი იყო. როდესაც 1897 წელს გერნგროსი რასპუტინის საქმის გამო დააპატიმრეს და სატუსაღოში ჩასვეს, სტუდენტებმა ყოველივე ღონე იხმარეს, რომ მისი მდგომარეობა შეესუმბუქებინათ. სტუდენტი ა. ა. ვ. ხომ სულ ამაზე იყო გადაგებული. გერნგროსი სატუსაღოში 11 თვე იჯდა და ეს სტუდენტი თითქმის ყოველ დღე დაიარებოდა სატუსაღოში, მიჰქონდა წიგნები და სხვა, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც აღკრძალული არ იყო. ვინ იფიქრებდა რომ „სიმპატიური და საყვარელი ქალიშვილი“ (ასე ეძახდნენ გერნგროსს მისი ნაცნობები და მეგობრები) ჯაშუში და პროვოკატორი იყო და სატუსაღოშიაც პროვოკატორულის მიზნით იჯდა. 11 თვის შემდეგ გერნგროსი ქუთაისში გადაასახლეს. სადგურზე აუარებელმა სტუდენტობამ მოიყარა თავი. ყველას თან ყვავილები მოეტანა, ყველა სცდილობდა გერნგროსის ახლო ყოფილიყო, „სიმპატიურ ქალიშვილისთვის“ სასჯელი შეემსუბუქებინა. მისი მომავალი ქმარი ჟუჩენკოც იქ იყო. ზოგიერთები ამბობენ, რომ გერნგროსი ურიააო, რაიც სიმართლეს მოკლებულია. გერნგროსი რუსია, სმოლენსკის გუბერნიიდან, აზნაურის ქალია.

**შინაური ექ-მი.** „რუსკ. სლოვო“-ს სიტყვით ამ დღეებში პეტერბურგში ჩასულა სოფელ ენისეისკის მწერალი ბერეზკინი. ბერეზკინს პეტერბურგის ქალაქის თავისთვის მიუმართავს, ნება მომეცით ხოლერიანებს უწამლოვო. ბერეზკინი ირწმუნება ისეთი წამალი ვიცი, რომ ხოლერიანებს მოვარჩენო. ქალაქის თავს ბერეზნიკისთვის ურჩევია საექიმო კომიტეტს მიმართეო. ბერეზკინს ამაზე უარი განუცხადებია, ექიმები გაიგებენ ჩემ წამალს და მერე თვითონ მიითვისებენო. ბერეზკინს ამის შემდეგ გრადონაჩალნიკისთვის მიუმართავს და უთქვამს, თუ არა გჯერათ, გამოსაცდელად სამ ისეთ ხოლერიანს მოვარჩენ, რომლების მორჩენის იმედი აღარავის აქვსო.


# განცხადებანი

## ქ. ქუთაისში

გაიხსნა **ოთხ კლასიანი ქალთა პროგიმნაზია სახელოსნო განყოფილებით.**

პროგიმნაზიულ კლასებთან ერთად მოწაფეები შეისწავლიან: ჭრა-კერვას, მანქანაზე ჩულქების ქსოვას, კორსეტების კერვას, საუცხოო ხელსაქმეს, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვას. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე ცალკე განყოფილება მოზრდილ და გათხოვილ ქალთათვის, რომელნიც შეისწავლიან ზემოხსენებულ ხელობებს. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება თითონ პროგიმნაზიაში—კაზაკოვის ქ., სახლი № 17. (4—კვ.—1)

## საოცრად იაფად!

**7 მან. და 25 კაპეიკად ორი ●— სამზამთრო ან საშემოდგომო**

საკოსტიუმე ნაჭერი კაცისა და ქალისა; გაგზავნა ფოსტით ფირმის ხარჯით (ბიმბირში გამომწერმა უნდა დაუმატოს 85 კაპიკი). ზარალი და შიში მეეჭვლებლია: ვისაც არ მოეწონება—იმას ფაბრიკა ფულს დაუბრუნებს. ფაბრიკა კაცის კასტიუმისთვის გზავნის 4¼ არშ. **„ინგლისურ ტრიკოს“** სულ ახალ ხასიათს, ძლიერ მკვიდრს, 2 არშინიან სიგანისას, მუქ მატერიას, და 8 არშინს ტრიკოს **„მარაამას“** ქალის საშემოდგომო ან საზამთრო მკვიდრ და კოხტა კასტიუმისთვის. ფას-ადებით გამოწერის დროს უნდა გადახდილ იქნას 16 კაპ. ხიიაფის მიუხედავად ფაბრიკას მრავალი მადლობა მოსდის საქონლის სიმკვიდრისა და სიკარგისთვის. ადრესი: М. А. Бабушкина, Лодзь. N 52. წერილი უნდა დაიწეროს რუსულად ან გერმანულად.

(Метцель и К° N 48251. (3—6.—3)

## მუქთა საჩუქრები

საქონლისთვის გაუგზავნი საქონლის ნიმუშების კატალოგს და ფასების ცნობას მეიდავს 60 გვ. დასურათებულია უკანასკნელ მოდებზე შეკერილ ტანისამოსისა: კაცისა, ქალისა და ბავშვისა, სამხედრო და სალდათებისა; საცვალი, ფეხსაცმელი, შინაური საქონელი, გაგზავნის მეღავათიან პირობით, უ ფ ა ს ო დ. ამ ადრესით: М. А. Бабушкинъ, Лодзь. N 50. წერილები რუსულად ან გერმანულად უნდა მოიწეროს.

(Мотцль и К-о. N 48323) (3—6.—2)

მეორე საკომერციო

## სასწავლებელი

მიიღებიან 4 კლასიან სამოქალაქო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი უეგზამენოდ მეოთხე კლასში. სწავლის ფასი წელიწადში 80 მან. თხოვნების მიღება კვლავ გრძელდება. ადრესი: დიდი მთავრის ქ., № 17. (2—443—1)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაზანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ.ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. ვეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (ჯ.—1—167)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუხჰალტრო კურსები ნ. ვ. აბრაამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის, წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ—13)

ტ. მ. ფილოიანის

## საკომერციო ცოდნის კურსებზე

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს, თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიწ-ფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—11)



Швейныя машины „Кайзеръ"

## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—70)


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.